საქართველოს მთავრობის

დადგენილება №436

2025 წლის 1 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2024, 470000000.10.003.024868) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №1 დანართის („დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი“ – პროგრამული კოდი: 27 03 02 01) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **3 500.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	კიბოს სკრინინგის კომპონენტი	2,163.0
2	1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია	66.0
3	ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა	311.0
4	დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგი	160.0
5	სისხლში ტყვიის შემცველობის ბიომონიტორინგი	800.0
	სულ:	**3,500.0.“.**

2. №2 დანართის („იმუნიზაცია“ – პროგრამული კოდი: 27 03 02 02) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **24 179.5** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა	18,037.5
2	სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა	160.0
3	პოსტექსპოზიციური ანტირაბიული პროფილაქტიკისათვის ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	3,977.0
4	გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა	1,896.0
5	„ცივი ჯაჭვის“ მოწყობილობების/ინვენტარის შესყიდვა და მონტაჟი	29.0
6	აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება	80.0
7	საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები	–
	სულ:	**24,179.5.“.**

3. №3 დანართის („ეპიდზედამხედველობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 02 03) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **4 000.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსებისთვის	2,378
	მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება, არსებულ საფრთხეებზე რეაგირებისა და მზადყოფნის გაძლიერება არაუმეტეს	2,169.0
2	კოღოებით, ტკიპებით, ფლებოტომუსებითა და სხვა ვექტორებით გადაცემადი პარაზიტული და ვირუსული (მალარია, ლეიშმანიოზი, დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო და სხვა) დაავადებებისა და ალიმენტური პარაზიტული* (პროტოზოოზები, ჰელმინთოზები) ინფექციების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება	1,253.0
3	ნოზოკომური ინფექციების ეპიდზედამხედველობა	5.0
4	ვირუსული დიარეების კვლევა	11.0
5	B და C ჰეპატიტებზე ეპიდზედამხედველობა	35.0
6	გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება (მათ შორის, საყრდენი ბაზების მომსახურება თვეში არაუმეტეს 26 500 ლარისა)	318.0

სულ:	4,000.0.“.

4. №14 დანართის („ორგანოთა ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია)“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 03) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **10 740.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პაციენტებისთვის: მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია; ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები; ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა	9,240.0
2	ღვიძლის ტრანსპლანტაცია	1,500.0
	სულ:	10,740.0.“.

5. №15 დანართის („დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 04) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **48 300.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	21,999.0
2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	150.0
3	ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება	23,007.0
4	თირკმლის ტრანსპლანტაცია	1,100.0
5	ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	50.0
6	ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	1,929.0
7	სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	65.0
	სულ:	48,300.0.“.

6. №17 დანართის („იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“ – პროგრამული კოდი: 27 03 03 06) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება **57 058.0** ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება	90.0
2	ფენილკეტონურიისა და ფენილალანინემიის ყოველთვიური მონიტორინგი და ამბულატორიული მეთვალყურეობა	110.0
3	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა სტაციონარული მომსახურება	300.0
4	ჰემოფილიითა და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა სამედიცინო მომსახურება, მათ შორის:	413.0
4.1	ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება (გარდა ენდოპროტეზირებისა)	394.0
4.2	ჰემოფილური ართროპათიით გამოწვეული დაზიანებული სახსრის ენდოპროტეზირება	19.0
5	იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	56,145.0
5.1	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	835.0
	სულ:	**57,058.0.“.**

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**